საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საკანონმდებლო წინადადება
(წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის
105-ე მუხლის გათვალისწინებით)

ცვლილების სახეობა:

- საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ
- დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

საკითხი - საჯარო სამსახურში საქმიანობის განხორციელების შემზღუდველი გარემოებები. კანონის პროექტის დასაბუთება: საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქე საქართველოს მოქალაქეობას დაკარგავს[1], თუ საქართველოს კომპეტენტური ორგანოების ნებართვის გარეშე შევა სხვა ქვეყნის სამხედრო სამსახურში ან პოლიციის ან უშიშროების სამსახურში (ძალოვანი სტრუქტურები სავარაუდოდ - ინფორმაციული უზრუნველყოფიდან გამომდინარე განისაზღვრა). მართალია შესაბამის პერიოდში მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე თანდართულ განმარტებით ბარათში არაფერია ნათქვამი მოცემული ფორმით საკითხის რეგულირების მიზეზის შესახებ, თუმცა, სავარაუდოა, რომ იგი უკავშირდებოდეს გარკვეული საფრთხეების თავიდან აცილებას. ამასთან, ლოგიკურია თუ ასეთი ტიპის საფრთხეების მატარებელი რისკი საჯარო სამსახურიც იქნება. მიუხედავად ამისა, არც საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი (მუხლი 27) და არც დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი (მუხლი 17) არ ითხოვს ხსენებული ფაქტების გამომრიცხავი გარემოებების ამსახველი დოკუმენტის წარდგენას პირის მოხელედ მიღების დროს. უფრო მეტიც, არც სამსახურიდან სავალდებულო გადავისუფლების შესახებ საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით (107-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, მათ შორის მისი „თ" ქვეპუნქტი) და არც დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით (40-ე მუხლის მე-2 პუნქტი, მათ შორის „დ" ქვეპუნქტი) მკაფიოდ არ არის განსაზღვრული - აქცენტირება კეთდება სხვა სამსახურში გადასვლაზე/ სახელმწიფო სამსახურში ან საჯარო სამსახურში სხვა თანამდებობაზე დანიშვნა, თუმცა ხსენებული სავარაუდოდ არ უნდა გულისხმობდეს სხვა ქვეყნის უფლებამოსილ ორგანოებში თანამდებობრივი პოზიციებს დაკავებას, შესაძლოა უცხოეთში შესაბამის თანამდებობაზე პირი დანიშნული იყოს საქართველოს საჯარო სამსახურში დასაქმებამდე და თანამდებობრივი პოზიცია აღარც შეიცვალოს (შესაბამისად, სახეზე გვქონდეს ორ სამსახურში ყოფნა). ამას გარდა, სხვა ქვეყნის სამხედრო, პოლიციის ან უშიშროების სამსახურში შესვლა შესაძლოა სულაც არ ითვალისწინებდეს თანამდებობრივი პოზიციის დაკავებას, მითუმეტეს, როდესაც საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლით, საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის ზემოხსენებულ გარემოებას სავარაუდოდ არ ავრცელებს იმ საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობა მინიჭებულ პირებზე, რომლებიც თავისი მოქალაქეობის ქვეყნის სამხედრო სამსახურში ან პოლიციის სამსახურში შევა. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოხელეობრივი უფლებამოსილების განმსაზღვრელი ზემოხსენებული ორივე კანონით დასაშვებია უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმება. კერძოდ, საკანონმდებლო მაცნეს ვაბ გვედზე გამოტანილი[2] დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „მ" ქვეპუნქტის თანახმად, მომსახურე პერსონალი – ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაოდ მიღებული, სათანადო კვალიფიკაციის მქონე საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც, „დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ" 1961 წლის ვენის კონვენციისა და „საკონსულო ურთიერთობის შესახებ" 1963 წლის ვენის კონვენციის შესაბამისად, ემსახურებიან დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებს. საჯარო სამსახურის ბიუროს გ9929 30 / დეკემბერი / 2022 წ. წერილის თანახმად, საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტით პროფესიული საჯარო მოხელისათვის დადგენილია ძირითადი მოთხოვნები, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეობის ქონა და სახელმწიფო ენის ცოდნა. „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 84-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, 27-ე მუხლის[3] პირველი პუნქტით პროფესიული საჯარო მოხელისათვის დადგენილი ძირითადი მოთხოვნები არ ვრცელდება შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით მისაღებ პირ(ებ)ზე.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-785/24
29 01 2024 წ. ფურცელი 26

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასურველი იქნებოდა დიპლომატიური სამსახურის შესახებ და საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონებში მინიმუმ შევა ისეთი ცვლილება, რომლის შედეგადაც სამსახურიდან გათავისუფლების ერთ-ერთ სავალდებულო საფუძველთა შორის საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებაც (სხვა ქვეყნის შესაბამის სამსახურში ყოფნა) განისაზღვრება, თუმცა, სასურველი იქნებოდა - რომ საჯარო/ სახელმწიფო თუ დიპლომატიურ სამსახურში დასაქმებისათვის უცხო ქვეყნის მოქალაქეს (სასურველია ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებსაც) მოეთხოვებათ საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების გამომრიცხავი უცხო ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის/ ცნობის წარდგენა.

.

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი
ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted] მობ.: [redacted] ელ. ფოსტა [redacted] რეგისტრაციის ადგილი: [redacted]

27/01/2024



---

[1] ხსენებული ნორმა არ ვრცელდება საქართველოს იმ მოქალაქეზე, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით მიენიჭა ან რომელმაც სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვებისას საქართველოს მოქალაქეობა შეინარჩუნა და რომელიც თავისი მოქალაქეობის ქვეყნის სამხედრო სამსახურში ან პოლიციის სამსახურში შევა

[2] დამუშავდა 27/01/2024 მდგომარეობით

[3] საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტით შესაძლოა ვიწროვდება იმ უცხო ქვეყნის მოქალაქე პირთა წრე, რომელთაც შეუძლიათ საჯარო სამსახურში დასაქმება, კერძოდ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე ქმედუნარიანი პირი (რომელიც შეიძლება იყოს, როგორც საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქე, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქე), რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 18 წელს და იცის სახელმწიფო ენა, საჯარო სამსახურში შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

KA040178690958722

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

№ g9929 **30 / დეკემბერი / 2022 წ.**

ნიკოლოზ ნიკოლაძეს
პ/ნ [redacted]; მის.: [redacted],
[redacted] ტელ.: [redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი 2022 წლის 23 დეკემბრის განცხადების (ბიუროში რეგისტრაციის N5404) პასუხად განმეორებით გაცნობებთ, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტით პროფესიული საჯარო მოხელისათვის დადგენილია ძირითადი მოთხოვნები, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეობის ქონა და სახელმწიფო ენის ცოდნა.

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 84-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, 27-ე მუხლის პირველი პუნქტით პროფესიული საჯარო მოხელისათვის დადგენილი ძირითადი მოთხოვნები არ ვრცელდება შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით მისაღებ პირ(ებ)ზე.

ამდენად, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის ხსენებული მუხლების გათვალისწინებით, საჯარო სამსახურში უცხო ქვეყნის მოქალაქე შესაძლებელია დასაქმდეს ხელშეკრულებით.

პატივისცემით,

ბიუროს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

თეიმურაზ ჩიხრაძე

2005-2013 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ლტოლვილის სტატუსის, მოქალაქეობისა და ბინადრობის ნებართვების გაცემის სტატისტიკა

T- T+

სიახლეები | ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა | კორუფციასთან ბრძოლა | პუბლიკაციები | ანალიზი

1 სექტემბერი 2014

ლტოლვილთა სტატუსის მინიჭების სტატისტიკა

უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე ლტოლვილის სტატუსის მინიჭებას განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. ეს სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, იმყოფება საქართველოში, აქვს საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო და არ შეუძლია ან არ სურს, ამგვარი შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში.

IDFI-ის მიერ გაანალიზებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში, ბოლო პერიოდის განმავლობაში, ყოველწლიურად იზრდება უცხო ქვეყნის მოქალაქე თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა. გასული ორი წლის განმავლობაში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან მიღებული მონაცემებით, საქართველოს ხელისუფლებას თავშესაფრის მოთხოვნით 1300-ზე მეტმა უცხოელმა მიმართა, 30 სხვადასხვა ქვეყნიდან. მათ ძირითად რაოდენობას აზიისა და აფრიკის ქვეყნების მოქალაქეები შეადგენენ.

ბოლო ორი წლის განმავლობაში, წინა წლებთან შედარებით,

სიახლეები

საქართველოს OGP-ის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმისა და მიღების პროცესის მიმოხილვა
18.01.2024

Human Rights Watch-ის ახალი ანგარიში: 2023 წელს, ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა საქართველოში
12.01.2024

საქართველოს შედეგები მთავრობის AI მზაობის ინდექსში - 2023 წელი
12.01.2024

IDFI-ს სამწლიანი სტრატეგიული სამართალწარმოება წარმატებით დასრულდა: მედიააკადემიას საჯარო ინფორმაციის გაცემა დაევალა
11.01.2024

განცხადებები

"კოალიცია ინფორმაციის სანდოობისთვის" სამოქალაქო ორგანიზაციებზე განხორციელებულ თავდასხმებს ეხმიანება

მაძიებელთა რიცხვის მკვეთრი ზრდა შეიძლება აიხსნას საერთაშორისო მოვლენებით. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტებმა და არსებულმა საომარმა მოქმედებებმა აიძულა ამ ქვეყნების მოქალაქეები დაეტოვებინათ საცხოვრებელი და თავშესაფრის მოთხოვნის მიზნით მიემართათ სხვადასხვა სახელმწიფოებისათვის, მათ შორის საქართველოსთვის.

თვალსაჩინო მაგალითისათვის, 2005 წლიდან 2011 წლამდე საქართველოში თავშესაფრის მთხოვნელთა რიცხვი 300-ს არ აღემატებოდა. 2005 წელს თავშესაფარი 23 უცხოელმა ითხოვა, 2006 წელს - 19; 2007 წელს - 21; 2008 წელს 33; 2009 წელს - 43; 2010-ში კი 57. აქედან, უდიდეს ნაწილს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები შეადგენდნენ.

ამ ფონზე, თვალშისაცემი გახდა ბოლო ორი წლის მონაცემების მკვეთრი ზრდა. 2012 წელს საქართველოს მთავრობას ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების თხოვნით 599 განმცხადებელმა მიმართა, მათ შორის იყო 443 ერაყელი წარმომავლობის მოქალაქე. წარმოდგენილი მოთხოვნებიდან დაკმაყოფილდა 44 განცხადება. 2013 წელს კი თავშესაფარი სხვადასხვა ქვეყნებიდან ჯამში 717 უცხოელმა ითხოვა მათ შორისაც ჭარბობდა ერაყელი წარმოშობის 478 მოქალაქე. აქედან ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსი 31 მოქალაქეს მიენიჭა.
ერაყის მოქალაქეების გააქტიურება თავშესაფრის ძიების მხრივ, კვლავ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებს უკავშირდება. მათი უმრავლესობა მეორედ არის დევნილობაში, თავის დროზე ერაყში მიმდინარე კონფლიქტის გამო მათ დატოვეს თავიანთი ქვეყანა და მიიღეს თავშესაფარი სირიისგან, ხოლო სირიაში განვითარებული მოვლენების გამო მათ ამ ქვეყნის დატოვებაც და თავშესაფრის სხვაგან ძიება მოუხდათ.

24.01.2024

კოალიციის განცხადება კეკელიძის ქუჩაზე გამოსახლების გაშუქებისას ჟურნალისტებზე ძალადობისა და დაკავების ფაქტების შესახებ

24.01.2024

სამოქალაქო ორგანიზაციები ეხმაურებიან ევროკომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად სამთავრობო გეგმის დამტკიცებას

09.01.2024

„კოალიცია ინფორმაციის სანდოობისთვის“ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაციასა და დეზინფორმაციის მიმართულებით ახალ დათქმას ეხმაურება

10.11.2023

ბლოგპოსტები

რუსეთის მოქალაქეების შემოდინება საქართველოში და საზოგადოებრივი უსაფრთხოების გამოწვევები

05.10.2

ენერგეტიკული სიღარიბე და



დანაშაული საქართველოში
05.10.2023

საქართველოს შრომის ბაზარზე ახალგაზრდების უმუშევრობის დონე
05.10.2023

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების აღიარება: კონვენციის განვითარების პროცესი და ძირითადი პრეცედენტები
29.09.2023

2005-2013 წლებში თავშესაფრების მაძიებელთა სტატისტიკა ქვეყნების ჭრილში www.idfi.ge							
წელი	რუსეთი	ერაყი	სირია	ირანი	ეგვიპტე	აზერბაიჯანი	სომხეთი
2005	19	0	0	3	0	1	0
2006	14	0	0	0	0	0	0
2007	16	0	0	0	0	1	0
2008	20	4	0	0	0	0	3
2009	19	1	0	7	0	1	6
2010	32	1	0	4	0	6	0
2011	34	0	0	31	0	0	0
2012	36	443	18	42	22	3	5
2013	28	478	60	26	80	4	0

საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების სტატისტიკა

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, უცხოელისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხს წყვეტს საქართველოს პრეზიდენტი.

2005-2013 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების **53 067 ფაქტი** დაფიქსირდა. **საქართველოს პრეზიდენტმა ყველაზე მეტ უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა 2013 წელს - 9 626 შემთხვევა.**



2005-2013 წლებში საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა 37 462 რუსეთის მოაქალაქეობის მქონე პირს, რაც დაახლოებით ორჯერ აღემატება ყველა სხვა ქვეყნის მოქალაქეზე (15 605 პირი) საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შემთხვევებს. აღნიშნული დიდწილად გამომდინარეობს იქიდან, რომ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით პრეზიდენტს მიმართავენ რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები ეთნიკური ქართველები. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თვალსაზრისით გამორჩეულები არიან აგრეთვე თურქეთის (3 464 პირი) და ისრაელის (3 367 პირი) მოქალაქეები.



2005-2013 წლებში თურქეთის მოქალაქეებზე საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შემთხვევების დიდი რაოდენობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2013 წელს საპრეზიდენტო ვადის უკანასკნელ თვეებში თურქეთის მოქალაქეობის მქონე ეთნიკურ ქართველების უპრეცენდენტო რაოდენობას გამარტივებული წესით მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა. 2013 წელს საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა დაახლოებით იმდენ თურქეთის მოქალაქეს, რამდენსაც ერთობლივად 2005-2012 წლებში.



ბინადრობის ნებართვის გაცემის სტატისტიკა

უცხოელთა და მოქალაქეობის არქმონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად მუდმივი ბინადრობის მოწმობა გაიცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, მშობელზე, შვილზე, ასევე უცხოელზე, რომელმაც საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე იცხოვრა ბოლო 6 წლის განმავლობაში. მუდმივი ბინადრობის სახეს წარმოადგენს ასევე საინვესტიციო ბინადრობის მოწმობა. აღნიშნული გაიცემა უცხოელზე, რომელმაც საქართველოში განახორციელა არანაკლებ 300 000 ლარის ოდენობის ინვესტიცია, ასევე მისი ოჯახის წევრზე. რაც შეეხება დროებითი ბინადრობის ნებართვას, ის შეიძლება გაიცეს მაგალითად საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის ან ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მიზნით, ასევე პირზე რომელსაც საქართველოში დაუდგინდა მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი და სხვა. დროებითი ბინადრობის მოწმობა უცხოელებზე გაიცემა არაუმეტეს 6 წლის ვადით, ხოლო მოქალაქეობის არმქონე პირებზე კი – 3 წლის ვადით.

2005-2013 წლებში 40 100 უცხო ქვეყნის მოქალაქეზე გაიცა ბინადრობის ნებართვა, საიდანაც მუდმივი ბინადრობის ნებართვა გაცემულია 8791 უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, ხოლო დროებითი ბინადრობის ნებართვა - 31 309 უცხო ქვეყნის მოქალაქეზე. მუდმივი ბინადრობის ნებართვების გაცემის ყველაზე მეტი (2502 პირი)

შემთხვევა 2010 წელს ფიქსირდება, ხოლო დროებითი ბინადრობის ნებართვების - 2012 წელს (6 426 პირი).



2005-2013 წლებში ყველაზე მეტი მუდმივი ბინადრობის ნებართვა გაიცა რუსეთის მოქალაქეებზე (5879), ხოლო ყველაზე მეტი დროებითი ბინადრობის ნებართვა - თურქეთის მოქალაქეებზე (7812). დროებითი ნებართვების მიღების რაოდენობის თვალსაზრისით გამოირჩვიან აგრეთვე ჩინეთის მოქალაქეები, რომელთა აქტივობა განსაკუთრებით შეინიშნება უკანასკნელ წლებში. 2011 - 2013 წლებში ყოველწლიურად ჩინელებზე გაცემული დროებითი ბინადრობის ნებართვების რაოდენობა 1300-დან 1800-მდე მერყეობს.


2005 -2013 წლებში მუდმივი ბინადრობის ნებართვების გაცემა
მოქალაქეობის მიხედვით
www.idfi.ge
რუსეთი
5879
უკრაინა
601
სომხეთი
579
აზერბაიჯანი
319
წარმომავლობის არმქონე
268
თურქეთი
175
გერმანია
125
ა.შ.შ.
117
ყაზახეთი
80
ირანი
63
0
1000
2000
3000
4000
5000
6000



დეტალურად სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან მიღებული სტატისტიკური ინფორმაცია 2005-2013 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისა და ბინადრობის ნებართვების გაცემის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე.

სხვა მასალები ამ თემაზე

IDFI-ის სამოქალაქო კონტროლის აქტივობები 2014 წელს | 28 აპრილი 2014

საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge 2013-2015 | 1 ოქტომბერი 2013

netgazeti.ge

ახალი ამბები • IDFI

იმ პირთა 72%, რომლებმაც 2018-2022-ში საქართველოს მოქალაქეობა მიიღო, რუსეთის მოქალაქე იყო — IDFI

2 სექტემბერი, 2022 • მარიამ ბოგვერაძე • 1355

62
Shares

2018-2022 წლებში საქართველოს მოქალაქეობა 13 644 პირს მიენიჭა, მათი 72% კი რუსეთის მოქალაქე იყო.

ამის შესახებ ინფორმაცია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა"(IDFI) 1 სექტემბერს გაავრცელა.

დროის ამავე მონაკვეთში, ორგანიზაციის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა 13 575 პირს, საიდანაც 5 111 პირს აღუდგა საქართველოს მოქალაქეობა, ხოლო 8 382 პირს საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა საგამონაკლისო წესით. აქედან ჩვეულებრივი წესით — 38 პირს, გამარტივებული წესით — 29 პირს, ხოლო სპეციალური წესით — 15 პირს.

2018-2022 წლებში საქართველოს მოქალაქეობის მიმღები (მოქალაქეობის აღდგენის შემთხვევების გარდა) 8 464 პირიდან 72% (6 075 პირი) წარმოადგენდა რუსეთის მოქალაქეს. რუსეთის შემდეგ ყველაზე მეტი (428

სოხუმში ხანძრით დაზიანებული ნახატების ნაწილს აღსადგენად რუსეთში წაიღებენ

პარლამენტის შენობაში დაპირისპირება იყო

საქართველოს ნიკოლ ფაშინიანი ეწვია

ლატვიაში ძებნილი ყოფილი ევროპარლამენტარი მამიკინსი რუსეთში გადაიხვეწა

პირი) წარმოადგენდა უკრაინის მოქალაქეს, 404 პირი — სომხეთის მოქალაქეს, ხოლო 330 — ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეს.



შენიშვნა: 2022 წლის მონაცემები ასახულია მხოლოდ საწყის 7 თვის მდგომარეობით.

2022 წელს რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით მიიღო რუსეთის 551-მა მოქალაქემ, ხოლო უკრაინის 8 მოქალაქემ.

„სსიპ სახელმწიფო სერვისების სააგენტო არ გასცემს ისეთ საჯარო ინფორმაციას, რომელიც მნიშვნელოვანია რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, რუსეთის მოქალაქეების მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვილის ზრდის მასშტაბის სრულფასოვანი შეფასებისთვის" – ვკითხულობთ დოკუმენტში.

როგორია საკანონმდებლო ჩართო

IDFI განმარტავს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხები დარეგულირებულია „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" ორგანული კანონით. კანონის მიხედვით, არსებობს ხუთი წესი, რომელთა მიხედვითაც უცხოელს შეიძლება მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეობა:

ჩვეულებრივი წესი

პირსსა ქართველოს მოქალაქეობა ჩვეულებრივი წესით მიენიჭება თუ ბოლო 10 წლის განმავლობაში უწყვეტად ცხოვრობს საქართველოში, დადგენილ ფარგლებში იცის სახელმწიფო ენა, საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები, საქართველოში მუშაობს ან/და აქვს უძრავი ქონება ან საქართველოს ან საქართველოში ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას.

გამარტივებული წესი

საქართველოს მოქალაქეზე დაქორწინებული პირი, რომელიც ბოლო 5 წელი ცხოვრობს საქართველოში. დადგენილ ფარგლებში იცის სახელმწიფო ენა, საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები.

საგამონაკლისო წესი

უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ მას საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან. სახელმწიფო ინტერესების შეფასებაში მხედველობაში მიიღება სხვადასხვა გარემოებები.

მათ შორის: საქართველო საკუთარ სამშობლოდ მიაჩნია და მისი წინაპარი არის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ან იძულებით გადაადგილებული პირი, სხვადასხვა დროს პოლიტიკური მოსაზრებით ან ეკონომიკური მდგომარეობის გამო ემიგრაციაში წასული პირი. ასევე, ისეთი პირები რომელიც საქართველოში ახორციელებს ისეთ ინვესტიციას რომლითაც ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს, ასევე სპორტის, მეცნიერების ან/და ხელოვნების სფეროში წარმატებული პირი, რომელსაც სურს მოღვაწეობა საქართველოს სახელით განაგრძოს.

აღდგენის წესი

საქართველოს მოქალაქეობა აღდგენის წესით მიენიჭება პირს, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა არამართლზომიერად, საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლით, მშობლის არჩევანის შედეგად, სხვა ქვეყნის მოპოვებასთან დაკავშირებით.

სპეციალური წესი

საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებულ პირს, რომელსაც არ უდგინდება საქართველოს მოქალაქეობა.

ორგანიზაციაში აღნიშნავენ, რომ საქართველოს მოქალაქეობის მიღების მსურველების განცხადებებს განიხილავს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. დადებით რეკომენდაციებს სააგენტო წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

2022 წლის 5 აგვისტოს IDFI-მ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართა ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებული სტატისტიკური (ნატურალიზაციის სახეების და განმცხადებელთა მოქალაქეობის მიხედვით) ინფორმაციის მოთხოვნით თუმცა, IDFI-ს თქმით, აღნიშნული ინფორმაციის მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ.

შესაბამისად, ორგანიზაციაში აღნიშნავენ, რომ ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი სრულად ეფუძნება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან მიღებულ ინფორმაციას.

მოქალაქეობის მინიჭების საკითხის ანალიზი

IDFI აღნიშნავს, რომ 2018-2022 წლებში საქართველო მოქალაქეობა ყველაზე მეტ პირს მიენიჭა 2018 წელს – 3,858 პირი. 2020 წელს აღნიშნული მაჩვენებელი დაახლოებით განახევრდა (1,839 პირი), რაც ორგანიზაციის თქმით, სავარაუდოდ დაკავშირებულია კორონავირუსის პანდემიით შექმნილ გარემოებებთან. 2021 წელს კი საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მაჩვენებელი 2,846-მდე გაიზარდა, ხოლო 2022 წლის 7 თვის მდგომარეობით საქართველოს მოქალაქეობა მინიჭებული აქვს 1,598 პირს:

„2019 წლამდე საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება უმეტესწილად საგამონაკლისო წესით ხორციელდებოდა, ხოლო 2019 წლიდან მნიშვნელოვნად იმატებს მოქალაქეობის აღდგენის მაჩვენებელი. აღნიშნულ ტენდენცია განპირობებულია 2018 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციაში

განხორციელებული ცვლილებით, გაუქმდა ის ჩანაწერი რომელიც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ითვალისწინებდა ორმაგი მოქალაქეობის შესაძლებლობას.

შესაბამისი ცვლილებების განხორციელებამდე, საქართველოს მოქალაქე, რომელიც მიიღებდა სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, კარგავდა საქართველოს მოქალაქეობას. ხოლო შემდგომში, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება უმეტესწილად შესაძლებელი იყო საგამონაკლისო წესით. საკონსტიტუციო ცვლილებებით, ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებული შეზღუდვები გაუქმდა და კანონმდებლობით დადგენილი პირობების შემთხვევაში მოქალაქეს შეუძლია მოითხოვოს მოქალაქეობის შენარჩუნება.

ამასთან, საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანულ კანონში გაჩნდა საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის დროებითი უფლება, რომლის მიხედვით საქართველოს ყოფილ მოქალაქეს, რომელმაც მოქალაქეობა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების გამო დაკარგა, 2020 წლის 31 დეკემბრამდე შესაძლებლობა ჰქონდა მიემართა სააგენტოსთვის, მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭების მოთხოვნით. აღნიშნული უფლება შემდგომში 2022 წლის 31 დეკემბრამდე გახანგრძლივდა" – ნათქვამია IDFI-ს ანგარიშში.

IDFI-ის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაცია საშუალებას იძევა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების სტატისტიკა (მოქალაქეობის აღდგენის შემთხვევების გარდა) ჩაიშალოს პირთა მოქალაქეობისა და წლების მიხედვით.

ორგანიზაციის თქმით, 2018 წლის მონაცემები მიღებულია განსხვავებული საკანონმდებლო რეგულაციების პირობებში, შესაბამისად, მისი შედარება შემდგომ წლებთან სრულფასოვან ტენდენციას ვერ ასახავს.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ 2019-2022 წლებში საქართველოს მოქალაქეობის მიმღებ პირებს შორის მნიშვნელოვნად ჭარბობს რუსეთის მოქალაქეები კერძოდ,. 2019 წელს საქართველოს მოქალაქეობა (საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის გარდა) მიენიჭა 1,219 რუსეთის მოქალაქეს. 2020 წელს კი ეს მაჩვენებელი 629-მდე შემცირდა, ხოლო 2021 წელს 1,342 მდე გაიზარდა. IDFI-ს ანგარიშის მიხედვით, ამასთან, 2022 წლის 7 თვის მდგომარეობით. საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა რუსეთის 723 მოქალაქეს.

„2022 წელს რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, ასევე საინტერესოა 2022 წლის მაჩვენებლების ანალიზი თვეების მიხედვით. 2022 წლის იანვარში საქართველოს მოქალაქეობა გაიცა რუსეთის 74 მოქალაქეზე, ხოლო თებერვალში 98 მოქალაქეზე.

მარტის თვეში აღნიშნული მაჩვენებელი 43-მდე შემცირდა, თუმცა შემდეგ თვეებში აღნიშნული მაჩვნებელი მნიშვნელოვნად იზრდება. მაგალითად, 2022 წლის ივნისის თვეში საქართველოს მოქალაქეობა მიიღო რუსეთის 162-მა მოქალაქემ, ივლისის თვეში 136-მა მოქალაქემ. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით მიენიჭა რუსეთის 551 მოქალაქეს, ხოლო უკრაინის მხოლოდ 8 მოქალაქეს," – ნათქვამია განცხადებაში.

IDFI-ს თქმით, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეობა უმეტესწილად ენიჭებათ რუსეთის მოქალაქეებს. ორგანიზაციის თქმით, რუსეთის მოქალეების მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვილის კიდევ მეტად ზრდა მოსალოდნელია 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ შექმნილი სიტუაციის (მოსალოდნელი გრძელვადიანი სანქციები, განსხვავებული შეხედულებების მქონე პირების დევნა და სხვა) გათვალისწინებით.

IDFI-ს თქმით, რუსეთის მოქალაქეების მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვილის ზრდაზე რუსეთ-უკრაინის ომის გავლენის შეფასება, მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში მათთვის მინიჭებული საქართველო მოქალაქეობის ფაქტობრივი მაჩვენებლებით შეუძლებელია:

„ამ კუთხით სრულფასოვანი შეფასებისათვის მნიშვნელოვანია ისეთი მონაცემების კომპლექსური ხელმისაწვდომობა, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად ცალკეული პირობების დაკმაყოფილების მცდელობასთან. მაგალითად, საქართველოში ცხოვრებაზე გაცემული ბინადრობის ნებართვები, საქართველოს მოქალაქეებთან ქორწინების სტატისტიკა და სხვა. სამწუხაროდ სახელმწიფო სერვისების სააგენტომ მსგავსი მონაცემების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა. IDFI აღნიშნული ინფორმაციის მიღების მიზნით სახელმწიფო სერვისების სააგენტოს წინააღმდეგ მიმართავს შესაბამის სამართლებრივ მექანიზმებს," – აცხადებენ ორგანიზაციაში.

მასალების გადაბეჭდვის წესი

ასევე:

რომელ მოსამართლეებს ჩუქრიან ძვირადღირებულ საჩუქრებს? – IDFI-ის კვლევა

ღარიბაშვილის გარდა, რომელ თანამდებობის პირებს აჩუქეს მშობლებმა ათობით ათას დოლარი? – IDFI-ს კვლევა

IDFI: 2020-2022-ში თანამდებობის პირებმა ან მათმა ოჯახის წევრებმა 27.8 მილიონის საჩუქრები მიიღეს

HEINRICH BÖLL STIFTUNG TBILISI
South Caucasus Region
სამხრეთ კავკასიის ამბები



26.01.2024

პრეზიდენტის თქმით, ფაშინიანთან შეხვედრისა და მასპინძლობის საშუალება არ მიეცა



26.01.2024

ბორის აკუნინზე რუსეთში ძებნა გამოაცხადეს

26.01.2024

სენაკში "საქართველოს ბანკი" დააყაჩაღეს, ბრალდებული დაკავებულია

26.01.2024

7 წარმატებული ემისია – „თეგეტა ჰოლდინგი" კაპიტალის ბაზრებზე

26.01.2024

ფაშინიანმა ღარიბაშვილთან საზღვრის დელიმიტაციის დასრულების საკითხი განიხილა



26.01.2024

2023-ში დასრულებულ პროექტებში თითქმის ყველა ბინა გაყიდულია, 2026-2028-ში — ნახევარი



26.01.2024

26.01.2024

კიევი: რუსეთი უარს ამბობს „ილ-76“-ის ჩამოვარდნის საერთაშორისო გამოძიებაზე

საქართველოსა და სომხეთს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

კატეგორიები
- სიახლეები
- საზოგადოება
- პოლიტიკა
- ეკონომიკა
- სამართალი
- მოსაზრება

თემები
- თბილისი
- აზერბაიჯანი
- აფხაზეთი
- ბათუმი
- იმერეთი
- აჭარა
- სამხრეთ ოსეთი
- სომხეთი

თემები
- ისტორია
- საპროტესტო აქციები
- პარლამენტი
- ხელოვნება
- ფინანსები
- ხელისუფლება
- განათლება

გამოცემის შესახებ
- ჩვენ
- ნეტგაზეთის მასალების სხვა გამოცემებში გადაბეჭდვის წესი
- ბათუმელები
- ბლოგები
- Russian version

Batumelebi, ltd.
7a Louis Pasteur street, Tbilisi, 0105
48 M.Abashidze street, Batumi, 0079
P: (Phone) 0322960830>

Contact email
info@netgazeti.ge
infobatumelebi@gmail.com

ნეტგაზეთისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაიცვას მაღალი ჟურნალისტური სტანდარტი მოვლენების გაშუქებისას. სტატიების შექმნისას ნეტგაზეთისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ადამიანის უფლებების, მოწყვლადი, დაუცველი ჯგუფების, უმცირესობების პრობლემების გაშუქება.

ახალი მედიის პლატფორმების გამოყენებით ნეტგაზეთი აუდიტორიას აწვდის ვიდეო, აუდიო, ფოტო კონტენტს და აშუქებს საგანგებო ამბებს.

TOP.GE 10844371 6198 4699

საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება - მონაცემების ანალიზი: 2018-2022

1 სექტემბერი 2022

ძირითადი მიგნებები

- 2018-2022 წლებში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გადაიგზავნა საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ 13,644 პირის მიმართ დადებითი დასკვნა, ხოლო 7,360 პირის მიმართ უარყოფითი დასკვნა.

- 2018-2022 წლებში საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა 13,575 პირს, საიდანაც 5,111 პირს აღუდგა საქართველოს მოქალაქეობა, ხოლო 8,382 პირს საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა საგამონაკლისო წესით. ჩვეულებრივი წესით - 38 პირს, გამარტივებული წესით - 29 პირს, ხოლო სპეციალური წესით 15 პირს.

- 2018 -2022 წლებში საქართველოს მოქალაქეობის მიმღები (მოქალაქეობის აღდგენის შემთხვევების გარდა) 8,464 პირიდან 72% (6,075 პირი) წარმოადგენდა რუსეთის მოქალაქეს.

- რუსეთის შემდეგ ყველაზე მეტი (428 პირი) წარმოადგენდა უკრაინის მოქალაქეს, 404 პირი - სომხეთის მოქალაქეს, ხოლო 330 - ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეს.

- 2021 წელს საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა (მოქალაქეობის აღდგენის შემთხვევების გარდა) რუსეთის 1,342 მოქალაქეს, რაც 2020 წლის მაჩვენებელს 713 შემთხვევით აღემატება, ხოლო 2019 წლის მაჩვენებელს 123 შემთხვევით.

- 2022 წლის საწყისი 7 თვის მდგომარეობით საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა რუსეთის (მოქალაქეობის აღდგენის შემთხვევების გარდა) 723 მოქალაქეს.

- 2022 წელს რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით მიიღო რუსეთის 551-მა მოქალაქემ, ხოლო უკრაინის 8 მოქალაქემ.

- სსიპ სახელმწიფო სერვისების სააგენტო არ გასცემს ისეთ საჯარო ინფორმაციას, რომელიც მნიშვნელოვანია რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, რუსეთის მოქალაქეების მიერ

სიახლეები

საქართველოს OGP-ის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმისა და მიღების პროცესის მიმოხილვა
18.01.2024

Human Rights Watch-ის ახალი ანგარიში: 2023 წელს, ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა საქართველოში
12.01.2024

საქართველოს შედეგები მთავრობის AI მზაობის ინდექსში - 2023 წელი
12.01.2024

IDFI-ს სამწლიანი სტრატეგიული სამართალწარმოება წარმატებით დასრულდა: მედიააკადემიას საჯარო ინფორმაციის გაცემა დაევალა
11.01.2024

განცხადებები

"კოალიცია ინფორმაციის სანდოობისთვის" სამოქალაქო ორგანიზაციებზე განხორციელებულ თავდასხმებს ეხმიანება

საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვილის ზრდის მასშტაბის სრულფასოვანი შეფასებისთვის.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხები დარეგულირებულია „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" ორგანული კანონით. კანონის მიხედვით, არსებობს ხუთი წესი, რომელთა მიხედვითაც უცხოელს შეიძლება მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეობა:

- ჩვეულებრივი წესი - *პირსსაქართველოს მოქალაქეობა ჩვეულებრივი წესით მიენიჭება თუ ბოლო 10 წლის განმავლობაში უწყვეტად ცხოვრობს საქართველოში, დადგენილ ფარგლებში იცის სახელმწიფო ენა, საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები, საქართველოში მუშაობს ან/და აქვს უძრავი ქონება ან საქართველოს ან საქართველოში ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას.*

- გამარტივებული წესი - *საქართველოს მოქალაქეზე დაქორწინებული პირი, რომელიც ბოლო 5 წელი ცხოვრობს საქართველოში. დადგენილ ფარგლებში იცის სახელმწიფო ენა, საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები.*

- საგამონაკლისო წესი - *უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ მას საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან. სახელმწიფო ინტერესების შეფასებაში მხედველობაში მიიღება სხვადასხვა გარემოებები. მათ შორის: საქართველო საკუთარ სამშობლოდ მიაჩნია და მისი წინაპარი არის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ან იძულებით გადაადგილებული პირი, სხვადასხვა დროს პოლიტიკური მოსაზრებით ან ეკონომიკური მდგომარეობის გამო ემიგრაციაში წასული პირი. ასევე, ისეთი პირები რომელიც საქართველოში ახორციელებს ისეთ ინვესტიციას რომლითაც ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს, ასევე სპორტის, მეცნიერების ან/და ხელოვნების სფეროში წარმატებული პირი, რომელსაც სურს მოღვაწეობა საქართველოს სახელით განაგრძოს.*

- აღდგენის წესი - საქართველოს მოქალაქეობა აღდგენის წესით მიენიჭება პირს, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა არამართლზომიერად, საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლით, მშობლის არჩევანის შედეგად, სხვა ქვეყნის მოპოვებასთან დაკავშირებით.

- სპეციალური წესი - საქართველოს ტერიტორიაზე დაბადებულ პირს, რომელსაც არ უდგინდება საქართველოს მოქალაქეობა.

24.01.2024

კოალიციის განცხადება კეკელიძის ქუჩაზე გამოსახლების გაშუქებისას ჟურნალისტებზე ძალადობისა და დაკავების ფაქტების შესახებ

24.01.2024

სამოქალაქო ორგანიზაციები ეხმაურებიან ევროკომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად სამთავრობო გეგმის დამტკიცებას

09.01.2024

„კოალიცია ინფორმაციის სანდოობისთვის" საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაციასა და დეზინფორმაციის მიმართულებით ახალ დათქმას ეხმაურება

10.11.2023

ბლოგპოსტები

რუსეთის მოქალაქეების შემოდინება საქართველოში და საზოგადოებრივი უსაფრთხოების გამოწვევები

05.10.2

ენერგეტიკული სიღარიბე და

საქართველოს მოქალაქეობის მიღების მსურველების განცხადებებს განიხილავს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. დადებით რეკომენდაციებს სააგენტო წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

2022 წლის 5 აგვისტოს IDFI-მ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართა ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებული სტატისტიკური **(ნატურალიზაციის სახეების და განმცხადებელთა მოქალაქეობის მიხედვით)** ინფორმაციის მოთხოვნით. აღნიშნული ინფორმაციის მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ. შესაბამისად, ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი სრულად ეფუძნება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან მიღებულ ინფორმაციას.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 აგვისტომდე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გადაიგზავნა 13,644 პირის მიმართ დადებითი დასკვნები საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ, რომელთა საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა 13,568 პირს, ხოლო უარი ეთქვა 76 პირს. ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით საქართველო მოქალაქეობა მიენიჭა დამატებით 7 პირს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით ასევე ირკვევა, რომ 2018 წლის პირველი იანვრიდან 2022 წლის 1 აგვისტომდე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გადააგზავნა 7,360 პირის მიმართ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ უარყოფითი დასკვნები. 2018-2022 წლებში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე უარის თქმის მიზეზების, მოქალაქეობის და წლების მიხედვით ინფორმაცია IDFI-სთვის უცნობია.

2018 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 აგვისტომდე საქართველოს მოქალაქეობის მიმღებ 13,575 პირს შორის **5,111 პირი წარმოადგენდა საქართველოს ყოფილ მოქალაქეს,** რომელსაც აღდგენის წესით მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა. დანარჩენ შემთხვევაში, **უმრავლესობას (8,382 პირი) საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა საგამონაკლისო წესით.** მოქალაქეობის აღდგენის ჩვეულებრივი წესით საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა მხოლოდ 38 პირს, გამარტივებული წესით - 29 პირს, ხოლო სპეციალური წესით - 15 პირს.

დანაშაული საქართველოში
05.10.2023

საქართველოს შრომის ბაზარზე ახალგაზრდების უმუშევრობის დონე
05.10.2023

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების აღიარება: კონვენციის განვითარების პროცესი და ძირითადი პრეცედენტები
29.09.2023

ამ პერიოდში საქართველოს მოქალაქეობის მიმღები (მოქალაქეობის აღდგენის შემთხვევების გარდა) 8,464 პირიდან 72% (6,075 პირი) წარმოადგენდა რუსეთის მოქალაქეს. რუსეთის შემდეგ ყველაზე მეტი (428 პირი) წარმოადგენდა უკრაინის მოქალაქეს, 404 პირი - სომხეთის მოქალაქეს, ხოლო 330 - ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეს.





შენიშვნა: 2022 წლის მონაცემები ასახულია მხოლოდ საწყის 7 თვის მდგომარეობით.

2018-2022 წლებში საქართველო მოქალაქეობა ყველაზე მეტ პირს მიენიჭა 2018 წელს - 3,858 პირი. 2020 წელს აღნიშნული მაჩვენებელი დაახლოებით განახევრდა (1,839 პირი), რაც სავარაუდოდ დაკავშირებულია კორონავირუსის პანდემიით შექმნილ გარემოებებთან. 2021 წელს საქართველოს მოქალაქეობის

მინიჭების მაჩვენებელი 2,846-მდე გაიზარდა, ხოლო 2022 წლის 7 თვის მდგომარეობით საქართველოს მოქალაქეობა მინიჭებული აქვს 1,598 პირს.

2019 წლამდე საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება უმეტესწილად საგამონაკლისო წესით ხორციელდებოდა, ხოლო 2019 წლიდან მნიშვნელოვნად იმატებს მოქალაქეობის აღდგენის მაჩვენებელი. აღნიშნულ ტენდენცია განპირობებულია 2018 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებით, გაუქმდა ის ჩანაწერი რომელიც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ითვალისწინებდა ორმაგი მოქალაქეობის შესაძლებლობას. შესაბამისი ცვლილებების განხორციელებამდე, საქართველოს მოქალაქე, რომელიც მიიღებდა სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, კარგავდა საქართველოს მოქალაქეობას. ხოლო შემდგომში, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება უმეტესწილად შესაძლებელი იყო საგამონაკლისო წესით. საკონსტიტუციო ცვლილებებით, ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებული შეზღუდვები გაუქმდა და კანონმდებლობით დადგენილი პირობების შემთხვევაში მოქალაქეს შეუძლია მოითხოვოს მოქალაქეობის შენარჩუნება. ამასთან, საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანულ კანონში გაჩნდა საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის დროებითი უფლება, რომლის მიხედვით საქართველოს ყოფილ მოქალაქეს, რომელმაც მოქალაქეობა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების გამო დაკარგა, 2020 წლის 31 დეკემბრამდე შესაძლებლობა ჰქონდა მიემართა სააგენტოსთვის, მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭების მოთხოვნით. აღნიშნული უფლება შემდგომში 2022 წლის 31 დეკემბრამდე გახანგრძლივდა.





საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების სტატისტიკა (მოქალაქეობის აღდგენის შემთხვევების გარდა) წარმოვადგინოთ პირთა მოქალაქეობისა და წლების მიხედვით. 2018 წლის მონაცემები მიღებულია განსხვავებული საკანონმდებლო რეგულაციების პირობებში, შესაბამისად, მისი შედარება შემდგომ წლებთან სრულფასოვან ტენდენციას ვერ ასახავს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქვეყნების მიხედვით ქვემოთ წარმოდგენილია მხოლოდ 2019-2022 წლების ტენდენცია.

2019-2022 წლებში საქართველოს მოქალაქეობის მიმღებ პირებს შორის **მნიშვნელოვნად ჭარბობს რუსეთის მოქალაქეები.** 2019 წელს საქართველოს მოქალაქეობა (საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის გარდა) მიენიჭა 1,219 რუსეთის მოქალაქეს. 2020 წელს ეს მაჩვენებელი 629-მდე შემცირდა, ხოლო 2021 წელს 1,342 მდე გაიზარდა. 2022 წლის 7 თვის მდგომარეობით. საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა რუსეთის 723 მოქალაქეს.

2022 წელს რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, ასევე საინტერესოა 2022 წლის მაჩვენებლების ანალიზი თვეების მიხედვით. 2022 წლის იანვარში საქართველოს მოქალაქეობა გაიცა რუსეთის 74 მოქალაქეზე, ხოლო თებერვალში 98 მოქალაქეზე. მარტის თვეში აღნიშნული მაჩვენებელი 43-მდე შემცირდა, თუმცა შემდეგ თვეებში აღნიშნული მაჩვნებელი მნიშვნელოვნად იზრდება. მაგალითად, 2022 წლის ივნისის თვეში საქართველოს მოქალაქეობა მიიღო რუსეთის 162-მა მოქალაქემ, ივლისის თვეში 136-მა მოქალაქემ. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით მიენიჭა რუსეთის 551 მოქალაქეს, ხოლო უკრაინის მხოლოდ 8 მოქალაქეს.





საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეობა უმეტესწილად ენიჭებათ რუსეთის მოქალაქეებს. რუსეთის მოქალეების მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვილის კიდევ მეტად ზრდა მოსალოდნელია 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ შექმნილი სიტუაციის (მოსალოდნელი გრძელვადიანი სანქციები, განსხვავებული შეხედულებების მქონე პირების დევნა და სხვა) გათვალისწინებით.

რუსეთის მოქალაქეების მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვილის ზრდაზე რუსეთ-უკრაინის ომის გავლენის შეფასება, მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში მათთვის მინიჭებული საქართველო მოქალაქეობის ფაქტობრივი მაჩვენებლებით შეუძლებელია. ამ კუთხით სრულფასოვანი შეფასებისათვის მნიშვნელოვანია ისეთი მონაცემების კომპლექსური ხელმისაწვდომობა, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად ცალკეული პირობების დაკმაყოფილების

მცდელობასთან. მაგალითად, საქართველოში ცხოვრებაზე გაცემული ბინადრობის ნებართვები, საქართველოს მოქალაქეებთან ქორწინების სტატისტიკა და სხვა. სამწუხაროდ სახელმწიფო სერვისების სააგენტომ მსგავსი მონაცემების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა. IDFI აღნიშნული ინფორმაციის მიღების მიზნით სახელმწიფო სერვისების სააგენტოს წინააღმდეგ მიმართავს შესაბამის სამართლებრივ მექანიზმებს.

შვედეთი
Sverige

მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

სხვა მასალები ამ თემაზე

ორგანიზაციული მხარდაჭერა | 1 იანვარი 2020